№ 200 სექტემბერი 22, პარასკევი 1889 სექტემბერი 22, პარასკევი № 200

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . . . | 10 — | 6 . . . . | 6 — |
| 11 . . . . . | 9 50 | 5 . . . . | 5 50 |
| 10 . . . . . | 8 75 | 4 . . . . | 4 75 |
| 9 . . . . . | 8 — | 3 . . . . | 3 50 |
| 8 . . . . . | 7 25 | 2 . . . . | 2 75 |
| 7 . . . . . | 6 50 | 1 . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

„ნიმუშად გაკეთებულის ამოცანანი მათემატიკისანი“

ალგებრისა, ელემენტარულის და ანალიტიკურის გეომეტრიისა, ტრიგონომეტრიისა და ალგებრის წესით გაკეთებულნი ამოცანანი გეომეტრიისა და არითმეტიკისანი და

„გვარტომობის ხე რუსეთის მეფეთა და მთავართა“,

შედგენილი ჟღენტის მიერ.

სათავად აზნაურო სკოლებში ნასწავლ ყმაწვილებს, რომელნიც გიმნაზიის უფროსს კლასებში სწავლობენ, შეუძლიანთ უფასოდ მიიღონ ეს წიგნი, რისთვისაც უნდა მიჰმართონ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს.

Примѣрныя рѣшенія задачъ по математикѣ

(алгебрѣ, ариѳметикѣ, приложенію алгебры къ геометріи, геометріи—элементарной и аналитической и тригонометріи»), а также «*Родословныя русскихъ царей*», сост. И. Жгенти, могутъ получить безвозмездно ученики старшихъ классовъ гимназій, кончившіе курсъ въ дворянскихъ школахъ, для чего должны обратиться къ Инспектору Тифлисской Двор. школы. (3—2)

პარასკევს, 22 სექტემბერს

დანიშნულია ვერაზე

**ივერიის ბაღში**

საიუბილეიო სადილი არტისტებისათვის, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ ამ ათის წლის განმავლობაში. ვისაც სურს მონაწილეობის მიღება, შეუძლიან ხელი მოაწეროს «წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში.

## ახალი ამბავი

*** სექტემბერში აღმოსავლეთის ქვეყნების მცოდნე მეცნიერთა კრება იყო შვეციის სამეფო ქალაქში, სახელდობრ სტოკჰოლმში, და კრების საპატიო თავ-მჯდომარედ თვით შვეციისა და ნორვეგიის მეფე ოსკარ II ბრძანდებოდა. ქართველთაგან ამ კრებაზე დაესწრო პროფესორი ა. ცაგარელი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტმა გაჰგზავნა თავის წარმომადგენლად, როგორც მცოდნე აღმოსავლეთის ქვეყნისა და მწერლობისა. ამ პროფესორის ხელით ჩვენმა „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ გაუგზავნა ძღვნად მეცნიერთა კრების გვირგვინოსან თავმჯდომარეს მდიდრულად დაბეჭდილი სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსანი“. ეს ვეფხის-ტყაოსანი პროფესორს ა. ცაგარელს ჯერ სტოკჰოლმში შეკრებულ ზოგიერთ მეცნიერთათვის უჩვენებია და იმათ ძრიელ მოსწონებიათ ერთს იქაურს პროფესორს მეტად გაჰკვირვებოდა კიდეც, რომ ტფილისში ასე კარგად დაუბეჭდიათო ეგ წიგნი; მაგისთანა ყდას ჩვენს სტოკჰოლმშიაც ვერ გააკეთებენო. მერე ცაგარელს წიგნი მიურთმევია ოსკარ მეფისათვის. მეფესაც ძრიელ მოსწონებია და თითქმის მთელის ოცის წუთის განმავლობაში უსინჯავს. როცა გადაუთვალიერებია ამ წიგნის ბორენის მიერ ფრანგულად დაწერილი შინაარსი, მეფეს უბრძანებია: «საკვირველია, სოლომონის «ქება ქებათა»-სა ჰგავსო». მეფეს დაუბარებია ცაგარლისათვის: „გარდაეცით ჩემი გულითადი მადლობა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ამ მშვენიერისა და ძვირფასის ძღვენის მორთმევისათვისაო“.

კრების გათავების შემდეგ კონგრესის მდივანს, ანუ სეკრეტარს უთქვამს პროფესორის ცაგარლისათვის: „თქვენს „ვეფხის-ტყაოსანს“ იშვიათი პატივი ხვდა წილადაო. მეფემ ის წიგნი თავის წიგნთ-საკითხავისათვის მოინდომა და ეხლა იმის კაბინეტშიაო“. უნდა შევნიშნოთ, რომ მეფე ოსკარს მრავალი წიგნები მიართვეს კონგრესის წევრთ, მაგრამ მეფემ ბრძანა, რომ ყველა ის წიგნები გაუნაწილეთ უფსალისა და ქრისტიანიის უნივერსიტეტებსაო. მეფემ მხოლოდ რამდენიმე წიგნი დაიტოვა საკუთრად თავისთვის და აი იმ წიგნებს შორის მოჰყოლია ჩვენის უკვდავის პოეტის პოემაცა.

*** ოთხშაბათს, 20 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ, დაპირებისამებრ, გაარჩია საქმე პოლიციელად ნამყოფის აზნაურის მიხეილ წინამძღვრიშვილისა, რომელსაც ცოლთან მკვლელების მიგზავნა და მოკვლევინება ჰბრალდებოდა. სასამართლოში თავ-მჯდომარეობდა ა. მ. მალინოვსკი, წევრებად იყვნენ: პ. პ. დობრინინი და ნ. პ. კოლბასინი, ბრალმდებლად—ფ. ი. ანფილოვი და ბრალდებულს იცავდა ი. ი. დოლგოლენკო. ტფილისის ოლქის სასამართლომ 25 აპრილს ამ წლისას წინამძღვრიშვილს გადუწყვიტა უვადოდ კატორღა, ხოლო ეიუბ-სალა-ოღლის, ქმრის მიერ ცოლთან მიგზავნილს მკვლელს,—ექვსის წლითა და რვა თვით. სამოსამართლო პალატაში მ. წინამძღვრიშვილი შავს სერთუკში იყო,

## ფელეტონი

### საინგილო.

(შემდეგი*)

ამ გვარის ცრუ-მორწმუნოებისნაშთი საინგილოში ბევრია. თუმცა თანდათან ხალხს ყოველივე ეს მაგდენად აღარა სწამს. ცრუ მორწმუნოებათაგან კიდევ უნდა აღვნიშნოთ: მკითხავის (კითხავ) რწმენა, მოლის დუვა, საყდრები, ბებრების სამარიები (საფლავნი), ალი, მაჯლაჯუნა, დევი (არდევა), თვალის-კვრა, მოჯადოება, შელოცვა და სხ. მაგრამ კიდევ ვიმეორებთ, ყველა ეს ცრუ-მორწმუნოებანი ისე გატაცებით არა სჯერათ ინგილოებს, როგორც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. ჩვენში მაგალითი არ ყოფილა, რომ კუდიანობისათვის ვინმე დაეწვათ, ან წყალში ჩაეგდოთ. მოლის დუვა რომ ერთსა სწამს, მეორეს აინუნშიაც არ მოსდის მისი სიჭეშმარიტე, მოლასა და მის დუვას შეუკურთხებს და დახევ-დაფხრეწავს ხოლმე. ან-და ვინმე ძრიელ რომ ავად გაუხდება, ბებრები დაიქინებენ სამოლე გამხდარაო, ესე იგი მოლის წიგნი (დუვა) უნდა დაეწეროსო. სახლის პატრონს არა სჯერა არც მოლისა და არც მისის დუვასი. მაგრამ რომ დაარწმუნონ ყველანი, რა სისულელეს ამბობენ, გაჭირებული წავა და მოლას მოიყვანს. მოლამ, რასაკვირველია, ავადმყოფისა არაფერი იცის. ზოგმა მოლამ წიგნი სრულიად არ იცის. რომელსამე საგალობელს დაჰბღაჯნის ერთ ფარატინა ქაღალდზე და, თუ ქრისტიანია ავადმყოფი, ხშირად წყევა-კრულვასაც დაუწერს და მისცემს გლეხს, თანაც ეტყვის: ისეთი დუვა დავწერე, რომ ყმაწვილი, თუ კუდიანს ძრიელ არ შეუპყრია, ღმერთია მოწყალე, მალე მორჩებაო. აიღებს თავის სასყიდელს ერთ-ორ აბაზს, ან მანათს და წავა.

მაგდენად არც მკითხავებისა სწამთრა. მკითხაობა ერთი რამ განსაზღვრული ხელობა არ არის, მკითხავი კიდეც მკითხაობს, ყოველ გვარ სხვა საქმესაც აკეთებს. აქაურ მკითხავებს იმის მესამედი გავლენაც არა აქვთ ხალხზედ, რამდენიც ქალაქში კოდელნინოს ჰქონდა. განთქმული მკითხავი კაკში იყო ქ. მარიამა, გულ კეთილი, ალალ-მართალი და სათნოიანი ადამიანი. ხალხს ჯერ გამოათქმევინებდა ყოველივეს: ან რას დაჰპირებიან ღმერთს, ან რა აღუთქვამთ საყდრებისთვის, ან რა მიზეზით და როგორ ავად გამხდარა ავადმყოფი, და მერე ისე დასდებდა თავის განაჩენს. ხშირი მისი სიტყვა იყო: საღმთოს დაჰპირებიხართ, არ დაგიკლავთ. საკითხავისა ორ შაურსა და ერთს სანთელს, ერთ ნაგლეჯს ამერიკას და ხან-კი ერთ ნაგლეჯ დოშფალსაც მიუტანდნენ. ყველაზე დიდი მკითხავი (ე. ი. განთქმული) ყოფილა ნაზლუ-ხანუმა სარდარაშვილი. მკითხავებს უფრო დიდი მნიშვნელობა იმიტომ ჰქონიათ, რომ იგინი წმინდად იქცეოდნენ. ცუდ სიტყვას არ იტყოდნენ, ცუდ საქმეს არ ჩაიდენდნენ. დაქვრივების შემდეგ აღარ თხოვდებოდნენ. იგინი უფრო მოხუცებული დედა-ბერები იყვნენ. ამიტომაც ინგილოებს ბებერ დედაკაცებისა დიდი ხათრი ჰქონდათ და აქვთ კიდეც.

ალსა და მაჯლაჯუნაზედ ისეთივე მოთხრობებია აქ, როგორც დანარჩენს საქართველოში. ალი გრძელთმიანი, ფრიად კოხტა ქალიაო, მინდორსა და ველებში, წყლის პირებში იმყოფებაო. ცხენზედ ჯდომა და ჭენება უყვარსო. შეჯდება ცხენზედ და ფაფარს ისე აუწეწავს, რომ კაცი ვეღარაფრით დაუვარცხნის. ცხენზედ პირ-უკუღმა ჯდებაო. ცხენზედ ალი ბევრს უნახავსო. ალი თუ როგორმე კაცმა დაიჭირა და ერთი თმა გამოაგლიჯა, თავის სიცოცხლეში მისი ყმა იქნებაო და, რასაც მოისურვებს, აღუსრულებსო. მაჯლაჯუნას კაცის სახე აქვსო. ვინც პირ-აღმა დაწვება, იმას ისე დააწვება, რომ ყოველი მისი ასო კაცის ტანის ნაწილებს მოეწყოსო. ამ ნაირად დააწვება, სულს შეუგუბებს და დაარჩობსო. მაჯლაჯუნასაც და ალსაც ღვთისა ეშინიანთ, და კაცმა წმიდა გიორგი, ან ღმერთი უნდა ახსენოს და მაინც მაშინათვე გადიკარგებაო.

გზის პირას, სადმე განმარტოებით, თელის დიდი ხეებია, ეს ხეები საღმთოდ მიაჩნიათ და ჰგონიათ, რომ იგი ჰკურნებს სხვა და სხვა ავადმყოფობასაო. მაგალითად კბილის ტკივილს და სხვ. ამიტომ გზად გავლის დროს მგზავრი რამე ნიშანს მიაკრავს ამ ხეს, ან კალთიდგან მოაჰხევს კაიკატანს (ჩვარს) და ზედ მიაკრავს, ან ჩხირს დაურჭობს ხის ქერქში, ქვა დაჰკიდებს და სხვ. საქონლის ჭირის დროს პირუტყვის ნახირს ფირზე (ხის საყდარზე) წაასხამენ ხოლმე. იმ ხეების ქვეშ ვინმე მაჰმადიანი წმინდანი ჰმარხია, ან-და იგი ადგილი ნაეკკლესიარია. ფირზე საქონელს მარილს მოალოკებენ; შესაწირავად ერბო, კვერცხიანი (კეuრცხეელი) ფლავი მიაქვთ. მაჰმადიან ბი-კი საღმთოსაც ჰკლენ.

ზოგი ისეთი ადამიანია, რომელმაც თუ ავის თვალითა და გულით შეჰხედა სხვის ულაყს (შესაბამ პირუტყვს), სხვის ცხენსა და შვილსაც, თოლი მოხტეuბაყ (თვალი ეცემათ). რომ თვალის ცემა-აიცილონ, ძაღლის განავალს პირუტყვს წაუსმენ, ძაღლისა ან ცხენის თავის ძვლებს სახლის თავებზედა და ეზოს ღობეზე. ჩამოაცმენ, ან ღვინჭილასა და თვალი-მზივს (მწვანე მძივი) დაჰკიდებენ.

შელოცვა და შეკვრა შეიძლება ნეფესი, პატარძლის შვილიერებისა და სხ.-და-სხ. ნეფეს ნაბდის ბეწვებს მოუგრეხენ ჯვარისწერის დროს, ან უზანგს გადაუტრიალებენ. ამით შეიკვრის ნეფის კაცობა და პატარძლის შვილიერება. შეკრულის გასახსნელად მოლას მოიწვევენ ხოლმე, მაგრამ ამაოდ. ზოგნი ისე იხოცებიან, რომ კაცობა არ ეხსნებათო. შელოცვა და შეკვრა ცოცხალის-მძივითაც იციან. ეს მძივი მრგვალი და გრძელია. ერთი პირი მწვანე აქვს და ერთი წითელი. მტერი მიიტანს ვისიმე მამულში, გარა შემოატრიალებს და ისურვებს, რომ მამულის პატრონი ვერ აშენდეს, გაოხრდეს და გაევერანდესო. ამის შემდეგ იქვე მამულში დაჰმარხავს. შეკრულის კაცის მამულში არაფერი აშენდება, აშენებულიც გაოხრდებაო. პარკის ჭია, საქონელი, შვილები დაეხოცება და სხ. ჭიას, ავადმყოფს, მელოგინეს და სხ. ვნებს ალმასი, თვალი და ოქრო. ამიტომ ჭიისა და კაცის ავადმყოფობის დროს ამ გვარ ნივთებით უცხო კაცს სახლში არ შეუშვებენ. თუ ვინიცობაა შევიდა, მის ნივთებზე წყალს გადაავლებენ და ავადმყოფს დაალევინებენ, ხოლო ჭიას-კი წყალს აპკურებენ. მელოგინესთან შეტანილი ძვირფასი თვალი, ალმასი, ოქრო და სხ. ჩჩვილს ჰკლავსო. თუ თითონ მელოგინეს აქვს იგივე თვლები და ოქრო, გარედამ შემოტანილი ვეღარას დააკლებსო.

გაზაფხულზე სამხრეთიდგან გადმოფრენილ ფრინველებისა და ახლად დაბადებულ პირუტყვების დაკეჩვა (დაძლევა), აგრეთვე ლეკებისა ამ გვარად იციან.

გუჭგუჲ (გუგული) რომ დაჰკეჩო, უნაწილო არ უნდა იყო, ერთი ლუკმა პური მაინც უნდა ინაწილო.

მერცხალს დასძლევ, თუ ღვინო შეგისვამ, ან ძმარი და ძმრის წნილი გიგემნია დაძლევის დღეს.

წყალ-წყალას დასაძლევად ორი კაცი ერთად უნდა იყოს. თუ ორი წყალ-წყალაა და ერთი კაცი, მაშინ კაცი დაძლეულია.

ყაპ-ყაპის (ყურის მტრედი) დასაძლევად პირში წყალი უნდა გამოჲღურლნო (გამოივლო).

გურგურაჲ (დოია) დაიძლევა, თუ ფეტვის ამოსული ჯეჯილი გინახავს.

თუთა-ბალიას (ბიჭო-გოგია) დაძლევა ახალის ყველით უნდა. თუთა-ბალია პატარძალი ყოფილა. ერთხელ ტანი უბანია. ამ დროს მამამთილი მოულოდნელად და უცაბედად პატარძლის საბანებელთან მისწრებია. პატარძალს შერცხვენია და ღვთისთვის უთხოვნია: ღმერთო, მამამთილს როგორღა ვეჩვენო, ფრინველად მაინც მაქციეო. ღმერთსაც შეუსმენია და თუთა-ბალიად უქცევია. ამიტომაც თუთა-ბალიას ყვითელი ბუმბული აცხიაო, რადგან პატარძლები ყვითელ პერანგს იცმენო. თუთა-ბალია იმიტომ ჰქვიან, რომ, როდესაც მოფრინდება, იძახის: თუთა-ბალო, მაჲწიო! (მოიწიე, დამწიფდი).

ჭოპოპის დასაძლევად თავის დაბანაა საჭირო. თუ თავ-დაუბანავ-დაუვარცხნელი ჰნახე, დაძლეული ხარ. ეს პატარძალი ყოფილა და ბანების დროს მაზლს მიუსწვრია. პატარძალს ფრინველობა უთხოვნია და ჰოპოპად ქცე

---

*) იხ. „ივერია“ № 198.

ხოლო ეიუბი—ტუსალის ტანისამოსში და შებორკილებული. წინამძღვრიშვილი ძალიან მშვიდად იყო, ალელვება სულ არ ეტყობოდა და არც ციხეში ყოფნას გამოეცვალა რითიმე. მოხსენების წაკითხვის შემდეგ ალაპარაკეს ექსპერტი, დოქტორი ბენკლევსკი. შემდეგ პროკურორმა დაიწყო ლაპარაკი და ამტკიცებდა, რომ წინამძღვრიშვილის ცოლს ავი სენი სჭირდა, ქმარი ცოლთან ვერ იძინებდა და იმიტომ მოინდომა იმისი მოკვლა, რომ ოდინეცის ქვრივი უნდოდა შეერთოვო. დამცველი ბრალდებულისა, ბ-ნი დოლგოლენკო, პირ-იქით, ამტკიცებდა, რომ წინამძღვრიშვილისა ავად არ იყო და, მაშასადამე, მაგ მიზეზით არც ქმარი მოინდომებდა ცოლის მოკვლას და მკვლელებს არ მიუგზავნიდაო. ამ ბრალმდებელ-დამცველის ლაპარაკმა ოთხს საათს გასტანა. სალამოს შვიდს საათზე პალატამ დაადგინა, რომ მსჯავრ დადებულთა განახლებული, საპელაციო საჩივარი უყურადღებოდ იქმნას დატოვებული და დამტკიცდეს ოლქის სასამართლოს განაჩენიო.

*** ტფილისში ამ ჟამად ძალიან გავრცელებულია ციებ-ცხელება. ისე ქუჩა და უბანი არ არის, რომ რამდენიმე კაცი თუ დედაკაცი არ იწვეს ამ ავადმყოფობით ლოგინში: ზოგს ყოველ-დღიური აქვს ციებ-ცხელება, ზოგს დღე-გამოშვებით უბრუნდება, და ბევრნი არიან ისეთებიც, რომელთაც დასჩემებიათ და თვეში ერთხელ, ან ორჯელ შეაქცევთ ხოლმე.

*** წელს მოსკოვის სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტი, ჩვენი თანამემამულე ბ-ნი ა. რ. მრევლიშვილი, მხატვრობაში წარჩინების გამო პროფესორთა კრებას დაუსაჩუქრებია ვერცხლის მენდლით.

*** გუშინ-წინ, ოთხშაბათს, 20 ამ თვისას ოპერის არტისტებმა წარმოადგინეს ოთხ-მოქმედებიანი და ექვს-სურათიანი ოპერა ა. დარგომიჟსკისა „Русалка“. ხალხი ამ წარმოდგენაზედ ისე ცოტა დაესწრო, რომ თითქმის სამი მეოთხედი თეატრისა ცარიელი იყო, თუმცა-კი საზოგადოდ მშვენივრად თამაშობდნენ. ყველაზედ მეტად ამ წარმოდგენაზე თავი იჩინა ორმა არტისტმა: ქ-ნმა ლიუბატოვიჩმა და ბ-ნმა ბედლევიჩმა. ქ-ნი ლიუბატოვიჩი ასრულებდა ნატაშას როლს. ეს მომღერალი-ქალი ჯერ კიდევ ახალგაზდაა, მაგრამ არ ჩამოუვარდება ყველა იმ პრიმადონებს, რომლებსაც ტფილისელები ათაყვანებდნენ ხოლმე. ხოლო რაც შეეხება ბედლევიჩს (მეწისქვილე), ამაზე სრულის დაბეჯითებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამისთანა სრული და სასიამოვნო ბასის პატრონი სწორედ იშვიათია. დანარჩენს მომღერლებს, ბ-ნ ტომარსს (თავადი) და ქ-ნ გეიდნერს (კნეინა), არ გაუფუჭებიათ თავიანთი როლი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი ტომარსი ვერ გაუწევს ჩვენს თეატრს პირველ ტენორობას, თუმცა პატარა ხმას საკმაო სიტკბოება აქვს, რადგანაც იმის როლებში ტფილელებს ისეთი ტენორები უნახავთ, როგორც მიხაილოვი, მედვედევი და სხ.

*** ოთხშაბათს, 20 ამ თვისას, ორთაჭალის ახლოს შემდეგი უბედურება დატრიალდა: ურმით სოფლიდგან მოდიოდნენ ტფილისს გორის მაზრის სოფ. ახალ-ქალაქის მცხოვრები ოჯახობითურთ. ორთაჭალასთან დაბარგულ ურემში მჯდომმა ბავშვმა, ჩვიდმეტის წლისამ, გადმოიწია რაღაცის დასანახავად და ჩამოვარდა ურმიდგან, რომელმაც მარჯვენა თვალით ბავშვის გვამზე გადაიარა და გაჭყლიტა. საბრალო ბავშვმა მაშინვე განუტევა სული. გვამი ბავშვისა გაგზავნეს საანატომიო თეატრში.

*** ამავე დღეს ვერაზედ კიდევ შემდეგი უბედურება მოხდა: თავად პორფირ ბარათაშვილის სახლის აივანზედ ეძინა სოფ. ურჯაანის (სიღნაღის მაზრის) გლეხს ისაკ ნიკოლაშვილს, რომელიც ძილის დროს წამოდგა და ჩამოვარდა ძირს. გლეხი დაიჩეჩქვა და ტვინიც შეერყა. ნიკოლაშვილი მაშინვე მიხეილის საქალაქო საავადმყოფოში გაგზავნა პოლიციამ, მაგრამ, ვიდრე საავადმყოფოში მიიყვანდნენ, ეტლშივე სული განუტევა.

*** ამ უკანასკნელს დროს ქალაქში ძალიან გავრცელდა ერთ ნაირი სატკივარი, რომელიც მძვინვარებს ვერაზე, ავლაბარში და ქალაქის შუა-გულშიაც. ამ დღეებში ვერაზე ერთს დედაკაცს მოუკვდა ორი ქალი ერთ დღეს. სამების ეკლესიის ახლოს ბ-ნ ნ—ოვს დაეხოცა ერთ დღეს ორი გასათხოვარი ქალი, ამავე ნ—ოვს რამდენისამე დღის განმავლობაში მოჰკვდომია ერთის დღის ავად მყოფობით ვაჟი შვილი. ამ ბავშვების დედაც ავად გამხდარა, და შუაღამისას გამხდის თურმე და ეძახის თავისს სამს შვილს მეზობლები ამ უბედურის დედ-მამის ყურებაში იწვიან. ავლაბარში, ამბობენ, ერთ უბედურ დედმამას ორ დღეში სამი მოზრდილი შვილი და ერთი ბავშვი, ექვსის წლისა, დაუმარხიათ. ნეტავ რას ჰფიქრობს ქალაქის საექიმო გამგეობა!?

*** კავკასიის გამოფენა პირველ ხუთ დღეში დაუთვალიერებია თითქმის ხუთი ათას რვაას კაცს. პირველს ოთხ დღეს მანეთი იყო შესვლის ფასი და ორს უკანასკნელ დღეს კი ექვსი შაური. ამ უკანასკნელ ორ დღეს სალამოობით დიდი ხანი რჩება ხალხი, რადგანაც გამოფენა ელექტრონით კარგად არის განათებული.

*** სამეგრელო: ძალიან იშვიათი შემთხვევა იქნება, რომ სამეგრელოში ქორწილის დროს კაცი ან არ მოკვდეს, ან არ დაიჭრას და ან რაიმე უსიამოვნება არ მოხდეს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ მდაბიო ხალხს იმდენად სწამს ქორწილი, რომ იმის გადუხდელად ცოლის შერთვა ძლიერ სამარცხვინო საქმედ მიაჩნია. თუ ვინმემ ცოლი უქორწილოდ მოიყვანა, იმას საზოგადოებაში თავი აღარ გამოეყოფინება! ამიტომაც სამეგრელოში ყოველ წელიწადს რამდენიმე სიცოცხლით სავსე და ჯან-საღი ყმაწვილი კაცი ესალმება წუთი-სოფელს. ზოგიერთ შეგნებულ და გაელენიან კაცებმა კიდეც მოინდომეს ამ ჩვეულების მოსპობა თავ თავიანთ სოფელში და თუმცა-ღა ბევრი უქადაგეს ხალხს და მაგალითიც უჩვენეს: არც პატარძლის მოყვანაში და არც გათხოვებაში ქორწილი არ გადუხდიათ, მაგრამ ჯერჯერობით ვერა გააწყეს-რა. ყოველივე ეს გვათქმევინა ერთმა უბედურებამ, რომელიც ამ დღეებში დატრიალდა სოფ. კეში (სენაკის მაზრაში): ერთმა აქაურმა მცხოვრებმა, სანდრო წულესვირმა შეირთო იმერელი ქალი და ქორწილიც გაიხადა, რომელზედაც დიდ-ძალი ხალხი იყო მიწვეული. ქორწილის მეორე დღეს პატარძლის შექეიფიანებულ და კარგად გადაკრულ მამყოლ მაყრებს ლაპარაკი მოსვლიათ სიძის მამასთან, რომლისთვისაც ორიოდე მათრახი მიუთავაზებიათ. ამას მოურთავს ყვირილი: „ვაიმე, მიშველეთო!“ ამასობაში მაყრები გაქცეულან და გზაზე დახვედრიათ ერთი მეზობელთაგანი წულესვირივე, რომელსაც მაყრებისათვის ჯოხი დაურტყამს, ორი მათგანი ცხენიდგან ჩამოუგდია, მაგრამ მესამეს ამოუღია რევოლვერი, უსროლია და საწყალ დაცოლ-შვილებულ მუშა კაცისთვის იქვე ფეხები გაუპომინებია. ერთი მაყარი ხმლებს დაუჭერიათ და იმდენი უცემიათ, რომ კინაღამ სული ამოსვლია საწყალს.

*** მეტეხის ციხის მღვდლის მამა ლომაურისაგან დასაბეჭდად მივიღეთ შემდეგი წერილი: ტფილისის მეტეხის სატუსაღოს წიგნთ-საცავის სასარგებლოდ კიდევ შემოსწირეს წიგნები, გაზეთები და ნივთები:

---

ულა. საწყალს თავშივე სავარცხელიც ისევე დარჩენია.

ჭოტის დასაძლევად რაზედმე ხელით უნდა ჩამოეკიდო. თუ ფეხზე დასდექი, ფეხის საცმელი მალე გაგიცვდება.

ლეკის დასაძლევად აღდგომის სალამოს ღორის ხორცი უნდა დაჰლეჯო და გააფურთხო. ღორის ხორც დაულეჯავი რომ ლეკმა გნახოს, დაძლეული ხარ. ხორცის დამლეჯავები ლეკს რომ პირველად დაინახვენ, ეტყვიან: „ლეკო, დაგკეჩ!“

ტანას (ხბოს), ჭუჭულს (წიწილა), კაცს (კვიცი), ზაქს პურით დასძლევ.

ბუნების მოვლენათა დაძლევა:

გურგურის (ქუხილის) ხმას პირველად რომ გაიგებ, უნდა გაჰგორდე.

ჭელვას (ელვას) რომ დაინახავ, რკინას უნდა კბილები დაადგა.

თორჯა (მთვარე) დანახვაში ფეხზე უნდა წამოდგე და მოუწრუწუნო (სამ გზის).

მთვარეს დაჭერაში (მთვარე რომ დაბნელდება) თოფების სროლას დაიწყებენ. მთვარე გველეშაპს შეუპყრიაო და თოფებით აშინებენ, რომ მანათობელი ქვეყნისა იხსნან იმის პირიდამ.

მიწა-დანძრევაში (მიწის ძვრა) იტყვიან, კარგი მოსავალი არ იქნებაო, ჭირი და ომი ატყდებაო.

მასკვლავ ჩუმარდნაში (ვარსკვლავი რომ მოსწყდება) აგრეთვე ომს, ქვეყნის უბედურებას იტყვიან. ხანდახან ვარსკვლავი ერთის მხრიდგან მოსწყდება და მეორე მხრისკენ გადაივლის. ამაზედ იტყვიან: მავან საყდრიდამ მავანისაკენ ანგელოზი გადაფრინდაო. წრეულს ერთი დიდი ვარსკვლავი ქურმუხის საყდრის მხრიდამ მოსწყდა და ალავერდისაკენ გადაიარა. ვარსკვლავს ცის ფერი ჰქონდა და დიდ შუქს უშვებდა. ბევრმა ეს ვარსკვლავი დაინახა და ამბობდნენ, რომ ქურმუხის ანგელოზი ალავერდს გადაფრინდაო.

ყოვილაჲ (ყვავილი) და წითელაჲ წმინდაა და წმინდად შენახვა (მოვლა) უნდა. ყვავილი თავისითაც ჩნდება და ამოჰრითაც (აცრით). ყვავილი, ან წითელა რომ შემოვა სახლში, ხონჩაზე დააწყობენ წითელ ლავაშებს, წითელ კვერცხებს და ერთ ჯამ ბაქმაზს, ანუ თაფლს, კორთეში მაღლა ხონჩას დასდებენ და წითელა-ყვავილის გასვლამდის იქ დაანარჩუნებენ. ამას იმიტომ სჩადიან, რომ წითელისა, თუ ყვავილის დედა ხონჩაში დაიბუდებსო და ავადმყოფს არ შეაწუხებსო. ავადმყოფობა რომ გადაივლის—მორჩება, ხონჩას ჩამოიღებენ, გზაზედ გაიღებენ და დასდებენ. გამვლელ-გამომვლელი ხორაგს წაიღებს, ხონჩას-კი ისევ შინ დააბრუნებენ. ყვავილი და წითელა არ უნდა გააჯავრონ. გაჯავრება-კი შეიძლება სხვადა-სხვა ნაირად: ქვაბი თუ ადუღეს შინ სახლში, ან ადუღული ქვაბი გადაიყვანეს, ქათამი დაჰკლეს, ხორცეული მოჰხარშეს,—ყველა ამით ყვავილი და წითელა გაჯავრდება. ამას გარდა ცუდი სიტყვა, ყბედობაც ეჯავრება, აბრაზებს. ტკბილი სიტყვა-პასუხი უნდა იყოს სახლში, ჩონგურის დაკვრა და სხვ. ავადმყოფს კარგად უნდა მოუარონ, არ შეაციონ, აჭამონ: ქინძიანი შეჭამანდი, ფლავის წვენი, ღვინო არ დალიოს, ხორცეული არ ჭამოს, არც ფლავი. უნდა სვას ცხენის რძე, აგრეთვე ძროხისა და ვირისა.

საკეკი-ქარ (შაკიკი). შაკიკი კაცს თავში უჩნდება. თავის ერთი მხარე ასტკივა ხოლმე. ეს ტკივილი გადაუვა, თუ შეულოცვსო. გოგრის თასში ნაცარს ჩაჰყრიან, ზედ ამერიკას დააფარებენ და შეულოცავენ:

<table>
<tr><td>ალი, ალი,<br>საფარ ალი!<br>გეთ დალა დეგ,<br>ჩოულუნა დეგ,<br>ჩობანა დეგ,<br>ჩოლინა დეგ!</td><td>ალი, ალი,<br>საფარ ალი!<br>წყალი მოას ეცი,<br>ქარ ტეხილს ეცი,<br>მწყემსს ეცი,<br>მ-ხდორს ეცი!</td></tr>
</table>

—

მუშაობა საინგილოში მამათ სქესსა და დედათა-სქესს თანაბრად აქვთ განაწილებული. შინაური საქმე ეკითხება დედაკაცს, გარეთი, მინდვრისა მამაკაცს. მაგრამ როგორც შინ, ისე გარეთ მამაკაცმა და დედაკაცმა ერთმანეთის შველა იციან. დედაკაცი მამაკაცსა ჰშველის კალოზე, ხოლო მამაკაცი დედაკაცს სხვასტრე აღგილის დაბარვა-დაკვალვაში, ლობიოკიტრის შეაწყვაში და სხ. ჩვენი დედაკაცი საქონლის სამწყსოდ, სამკელოდ, შეშის მოსატანად მინდორში, ტყეში არ წავა. ერთის სიტყვით, მას აბარია კერა და იმის გარეშემო ტრიალი, ფუსფუსი. აქაური დედაკაციცა და მამაკაციც დიდს შრომა-გარჯაში არიან. იმდენი საქმე ეპოვებათ, რომ მთელი დღე მოსვენება არა აქვთ. საკვირველიც არ არის აქაურ გლეხობის კეთილდღეობის უმთავრესი წყარო იმ თელებაა: ხვნა-თესვა, მევენახეობა, მეჭირობა. ამას გარდა: მებოსტნობა, ძროხის ყოლა, ხელ-საქმე, რომელსაც მარტო დედაკაცები მისდევენ, სამეურნეო იარაღების კეთება და სხ. ამ გვარს საქმეს გაძღოლა უნდა, გაკეთება შინაურ საქონელთაგან ჰყავთ: კამეჩი, ძროხა, ცხენი და ზოგიერთს ცხვარიც. ძნელად იპოვება ისეთი ღარიბი კაცი, რომ ერთი წყვილი შესაბმელი საქონელი მაინც არა ჰყავდეს; მაგრამ არიან ისეთნიც, რომ 50—60-მდე თავი საქონელი ჰყავთ, რამდენიმე ცხენი და 1000—1200 ცხვარი. ჰიას აჩენენ ყველანი, ფრიად ხელ-მოკლენიც-კი. ვენახები დაბლარი აქვთ. ღვინო მდარე იცის, იმერულ ღვინის მაგვარი, მაგრამ გამოცდილნი მეღვინენი კახეთისა, რომელნიც-კი აქ ყოფილან, ამბობენ, რომ საინგილოს ღვინო ბუნებითად მდარე არ არისო. მდარე იმიტომ დგება, რომ ხალხმა არ იცის ღვინის დაყენების ხელობაო. ეს მართალიც უნდა იყოს. წელს ჩვენ ენახეთ კახურ წესზე დაყენებული ღვინოები მაისურაძისა. ღვინო ისეთი იყო, რომ კახურისაგან ვერც-კი გაარჩევდი. ღვინის დაყენების ხელობის არ-ცოდნის გარდა კიდევ სხვა მიზეზიც ბევრია, რომელთა წყალობით აქაური ღვინო მდარე გამოდის და მალე ფუჭდება. აქ მარანი არ იციან. ქვევრები ეზოში აქა-იქ ჩადგმული აქვთ. სიცხეცა და სიცივეც ერთ ნაირად აზარალებს უფარდულო ქვევრს და ღვინოს სწყვეტს, აძმარებს. ვაზის გასხვლაც თავისებური იციან. ყოველ ვაზს სამს-ოთხს რქას, თითქმის $^3/_4$—1 არშინის სიგრძეზედ, უტოვებენ. ვენახებს ხშირად რწყვენ, ყოველ ზაფხულობით 2—4 ჯერ. ამ გვარად მოვლილი ვენახი და იმისი ნაყოფის წვენი, რასაკვირველია, სასურველ ღვინოს არ იძლევა.

აქ ითესება პური, ქერი, ფეტვი და ჩალთუქი. მიწას ხვნენ აჩეჩით და ზოგიერთნი გუთნითაც. სიმინდი ითესება მხოლოდ ბოსტანში, ისიც ხილად, საჭმელად. სიმინდი, პური და ქერისა ჩვენში არ იციან, უმეტესობა სჭამს წმინდა პურს, ხოლო ღარიბნი ფეტვის მჭადსაც. ქერს ცხენებისთვის სთესენ, ან ლეკებზე გასაყიდად. აჩეჩით ხვნაში ერთმანეთის შველა არ იციან, ხოლო გუთანში-კი ერთმანეთს მიუდგებიან და საერთოდ იხვნენ მიწებს. აქ მკიან არა ნამგლებით, როგორც ქართლ-კახეთში, არამედ კბილებიანის ლულებით. მკა, ვენახების აგება-დაყელვა, სახლების აშენება, თიხ-ჭიგოს ჭრა და ზოგიერთი სხვა სამუშაო ნადით იციან. უნადოთ აქ არც ერთი სახლი არ აიგება და არ აშენდება. დედაკაცების შველა კალოზედ იმითი ხსრულდება, რომ კალოს ჰგვიან, უსმენ, ან და, იშვიათად, უქცევენ. კალო ილეწება კევრით. ხოლო ჩალთუქი და ფეტვი იბღერტება ქოთუქით. ეს მრგვალი ტიკია, რომელსაც ხარებს მოუბმენ და კალოზე გაშლილ ფეტვ ჩალთუქის ძნაზედ აგორავებინებენ. ფეტვი ან ჩალთუქი მალე დაიცლება და მერე ბურდოს ცალკე აიღებენ და დაყრევინებულ მარცვალს ცალკე.

ხეხილი აქ ბლომადაა. მეურნეობაში უფრო გამოსადეგია ქლიავი, რომელსაც კარგად ახმობენ და მარილზედ თანაბრად სცვლიან. ჩამიჩის კეთება და ჩურჩხელისა აქ არ იციან.

აქაური საქონელი, საზოგადოდ, ფრიად გამძლეა, იტანს სიცივესა და სიცხეს. ცხვრის პატრონები ზაფხულობით ცხვარს მთაში მიერეკებიან, ხოლო ზამთრობით შირაქში ინახავენ.

სახლებს მიწის პირზედ ქვისას აშენებენ, იშვიათად-კი ფიცრისას. ზემოდგან სახლები დახურულია ჩალით. თანდათან კრამიტის სახურავებიც შემოდის და ევროპიული სახლებიც. ყველა სახლი ერთ-სართულიანია და ერთ-ოთახიანი. მთელი ჯალაბობა, რამდენი სულიც უნდა იყოს, ამ ერთ სახლში თავსდება. ჭამა-სმა და ძილიც აქ იციან. მაგრამ თითო სახლიანი კაცი აქ იშვიათია, უმეტესობას ორ-ორი სახლი აქვს, ერთი დიდსახლ (საოჯახო) და მეორე ქოხ (ქოხი). ორის სახლის პატრონი ქოხში საქონელს ინახავს, ერთ-სახლიანი-კი საქონელსაც თავისთან ათავსებს. დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) უფროსმა მღვდელმა, კავკასიის გრენადერის არმიის ფლოტის დეკანოზმა, მამა ალექსანდრე ჩოლოშოვისამ 50 ცალი რუსული წიგნი.

ბ) მათმა ყოვლად უსამღვდელოესობამ სმოლენსკის ეპისკოპოსმა ნესტორმა 400 ჯვარი დასარიგებლად ტუსაღებისათვის.

გ) კნეინა ციციშვილისამ 10 ცალი ქართული წიგნი.

დ) „ივერიის“ რედაქციამ—ამ 1889 წლის გაზეთი „ივერია“.

ე) „კავკაზის“ რედაქციამ—ამ 1889 წლის გაზეთი „კავკაზი“.

ვ) «ნოვოე ობოზრენიის» რედაქციამ—ამ 1889 წლის გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“.

ზ) ტფილისის ფურცლის“ რედაქციამ—ამ 1889 წლის გაზეთი „ტფილისის ფურცელი“.

ჱ) ჟურნალის „მწყემსის“ რედაქციამ—ამ 1889 წლის ჟურნალი „მწყემსი“.

თ) ჟურნალ „სტრანნიკის“ რედაქციამ—ამ 1889 წლის ჟურნალი „სტრანნიკი“.

მეტეხის ციხის პატიმარნი ამ გვარის ყურადღებისათვის გულითადს მადლობას უძღვნიან შემომწირველთ. ამასთანავე უმორჩილესად სთხოვენ გულმტკივნეულს საზოგადოებას, კვლავაც უყურადღებოდ არ დასტოვოს და შემოსწიროს სასარგებლოდ ბიბლიოთეკისა საკითხავი ქართული წიგნები და ქართულივე იაფი ანბანები.

◆◆

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სამეგრელო. წლეს მთელის გაზაფხულის განმავლობაში სამეგრელოში საშინელი გვალვა იყო, რის გამოც სიმინდის თესვა დროზე ვერ მოვასწრეთ. ბოლოს ღმერთმა მოგვხედა, წვიმა გვაღირსა და სიმინდიც დავთესეთ. ეს იყო ივნისის მეორე ნახევარში, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ივნისის მეორე ნახევრიდგან მოკიდებული სულ საშინელი წვიმები იყო ორის თთვის განმავლობაში. ბევრ ადგილებში, რადგანაც თავის დროზე ვერ გამარგლულიყო სიმინდი, ისე გაფუჭდა, რომ ერთ ტაროსაც ვერ მოსტეხს ადამიანი, როგორც გლეხები ამბობენ.

მეგრელები არც მევენახეობას მისდევენ, არც პურის თესვას და არც საქონლის მოშენებას. თავი და თავი წყარო ჩვენის ცხოვრებისა სიმინდია, რადგანაც ბუნებაც და სხვა გარემოებაც ხელს უწყობს. მაგრამ, სამწუხაროდ, სიმინდის ფასიც დაეცა და ლამის მთელი სამეგრელო დაეცეს და გაღატაკდეს. წინად გლეხი 100—500 ფუთამდე სიმინდსა ჰყიდდა, თავის თავსაც უძღვებოდა და სხვა-და-სხვა გადასახადსაც. ეხლა-კი მოსავალმაც იკლო და სიმინდსაც ფასი მოაკლდა.

თუ რა გაჭირებაშია ამის გამო ჩვენი გლეხი, ამ ამბიდგან დაინახავთ: 15-ს ივნისს სოფ. ხეთაში ერთს გლეხს, გვარად ბუკიას, წვრილ-შვილის პატრონს, ოჯახი ვერ შეუნახავს, ბეგარა ვერ გადაუხდია, რადგან სიმინდი წინანდელ ფასად ვერ გაუყიდია. ამდგარა ეს გლეხი ერთს დილას და მდ. მუნჩიაში თავი დაურჩვია.

რომ დაიაროთ სამეგრელო და სოფლის სასამართლოებს ახლოს გაუაროთ, სასამართლოს წინ შენიშნავთ ხეზე მიბმულ ძროხა-ხარებს, რომელნიც საცოდავად ბღავიან. ეს ძროხა-ხარები სოფლების ხარჯის მკრეფავებმა სოფლიდამ ჩამოერეკეს გასასყიდად. სამეგრელოში ბევრი უბედურება ჩნდება უვიცობისა და დაუდევრობის გამო. სადაც ჭაობიანი ადგილია, იქ ციებ-ცხელება ხომ აუცილებელია, და წელს რადგანაც ძლიერი წვიმები იყო, დადგა თუ არა მარიამობისთვე, მოჰყვა თან ციებ-ცხელებაც. როგორც მოთიბული თივა, ისე ერთმანეთზე მიეფინა კაცი თუ ქალი. თუმცა დ. ზუგდიდისა და ძველ-სენაკში არის გამართული აფთიაქი, თან სამაზრო ექიმიც და ფერშალიცა გვყავს, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენს ხალხს არა სჯერა რა ექიმისა და აფთიაქისა, შეახურებს შეაცხელებს თუ არა ვისმე, პატრონი უყურებს, დღეს, ან ხვალ და ზეგ უკეთ გახდებაო, მაგრამ ავადმყოფი-კი თანდათან სუსტდება, სიცხე ემატება და იწვება ადამიანი. ეხა, ეხლა-კი დროა წავიდეს მამა-პაპურ ტუხ-ცმაცუნა მკურნალთან. ტუხ-ცმაცუნა, სხვა რომ არა შეუძლიან რა, ეტყვის: შენს ავადმყოფს ვერა ეშველება-რაო და ვინც ცოცხალნი ხართ, იმათ მაინც უშველეთ თავსაო; იქ, სადაც შენი სახლი დგას, ოდესმე წმინდა გიორგის თავისი მეხი დაუკრავს ერთ ხეზედ, მეხი ხიდგან მიწას ჩასულა, მას აქეთ წმინდა გიორგი მუდამ იქა დგას თავის რაშით და ცოცხლები საიყარნეთ იქიდგანაო; ავადმყოფი არ მორჩება და ცოცხლები სხვაგან უნდა გადასახლდეთ, თორემ არც ერთს ცოცხალს არ დაგიშვებთ წმინდა გიორგიო. საწყალს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ გლეხს მეტი რა დარჩენია, მკითხავის რჩევა უნდა აასრულოს; აასრულებს და, ოჯახი ქარწყლდება, ცეცხლი უქრება. ამისი მაგალითი ბევრია, ხოლო მშველელი და დამრიგებელი-კი არავინა გვყავს.

◆◆

## უცხოეთი

გერმანია. გერმანია სწორედ ქარხანაა, რომელშიაც მზადდება ყოველ გვარი ხმა ტყუილი თუ მართალი ევროპის პოლიტიკის შესახებ. ამ ზაფხულს მოაჰქორეს, რომ მალე ომი ატყდებაო. ეხლა კიდევ სხვა ხმა მოდის: ომი გადადებულ იქმნა მერმისს გაზაფხულამდეო. თუ გინდათ შეიტყოთ, ვინ ვის ეკვრის პირობით სახელმწიფოთა შორის, ვინ რა თოფიარაღს ამზადებს ჯარისათვის, ვინ ემზადება საომრად და სხვა ამისთანა ხმა, გერმანიის ჟურნალ-გაზეთობას უნდა მიჰმართოთ. დღე-მუდამ ამ ჟურნალ-გაზეთობაში გამუდმებული ლაპარაკია თითქმის მხოლოდ ომისა და შეთოფ-იარაღების შესახებ, ჯართა ალლუმისა და მანევრების თაობაზედ, ამა თუ იმ სახელმწიფოს მხედრობის რაოდენობაზედ. ანგარიშობენ, ვარაუდობენ, ვის რა უდევს გულში, ვის საით სწადიან ხელის გაწვდენა, ვის სადა აქვს უმეტესი სარგებლობა და საით იწევევს საკუთარი ინტერესები და სხვანი. ჟურნალ-გაზეთობასაც არა ჰკმარობენ, ცალკე წიგნებსაც მრავლად ჰბეჭდავენ, და სულ-კი ისევ იმ დაწყევლილ პოლიტიკისა და მოსალოდნელ და წინამდებარე ომის შესახებ. სადღაა ძველებური გერმანია, რომლის ხსენებაზედ ყველა ყურსა სცქვეტავდა და მოწიწებით იგონებდა იმის მეცნიერებას, იმის ლიტერატურას, იმის ნასწავლ და შრომის მოყვარე მწერალთა, ორატორთა, დემაგოგთა და საზოგადო ცხოვრების მოღვაწეთა. ასეთი გერმანია წავიდა, გაჰქრა, ან-და თოფის წამლის ბურუსმა დაჰფარა და, თუმცა ეს ქვეყანა განათლებით კიდევ მაღალ ხარისხზედ სდგას, მაინც ფეხს ველარ აიწევდის ვერც საფრანგეთთანა და ვერც ინგლისთან. წელიწადი წელიწადს მისდევს და გერმანიაში არა ჩნდება, არ იბადება არც საქვეყნოდ გამოჩენილი და განთქმული პოეტი, არც ორატორი, არც დემაგოგი და ტრიბუნი, არც პუბლიცისტი, არც მეცნიერი, არც სასარგებლო მანქანის მომგონი... ისმის მხოლოდ ბისმარკისა და კრუპის სახელი, ვკითხულობთ იმპერატორის სიტყვებს, რომელსაც ამბობს ვილჰელმი ხან ჰანოვერში და ხან ბრანდენბურგში და ემუქრება ცასაცა და ქვეყანასაცა. გერმანიის ხსენებაზედ ეხლა თვალ წინ ის ბრწყინვალე მოღვაწენი-კი არ წარმოგვიდგებიან, რომელნიც მნათობივით ანათებდნენ ოდესმე თავის სამშობლო ქვეყანას, არამედ თოფ-იარაღით შეჭურვილი ჯარი და მხედრობა, ხმალთა ლაპლაპი და კრუპის ზარბაზნების ელვარება დაგვიბნელებს და მოგვჭრის თვალს. მაშინ-როცა საფრანგეთში მთელს გუნდს ჩამოსთვლი სახელოვან მოღვაწეთას, გერმანიაში იქნება ათი თითიც გეყოს. სამხედრო წეს-წყობილებამ, რომელიც დამკვიდრდა ამ ქვეყანაში 1870 წლის შემდეგ, რკინის რგოლები შე-

---

დი სახლის ჩარდახი საკუჭნაო იქთვლება.

შიგ სახლი ლამაზადა და ვაქიზად აქვთ შენახული. ალმოსავლეთის მხარეს თახჩაზე (კართე) სპილენძისა და თიხის ჭურჭელია ჩამომწკრივებული და დალაგებული, მარჯვენა, ან მარცხენა კედელთან ფქვილის საკანი დგას, ამას მოჰყვება კიდობნები, რომელიც იმდენია, რამდენიც სახლში ვედაკაცია და კიდობნებს—ფართალი (ჯეჯიმები და საბნები), სულ ბოლოს-კი—ხოკრები, იარაღები: წალდი, ცული, ეჩო და სხ. ბოძებზე ჰკიდია თოფი, თოფანჩა (დამბაჩა), ფაფხები და სხ. დედა-ბოძს უკან ვარცლია დადგმული გამომცხვარ პურის შესანახად და სხ.

ცეცხლი ანთია სახლის შუა გულში, დედა-ბოძის წინ. კომლი საკომლედგან აყარში (ჩარდახში) ადის, ან, როდესაც სახლის კარები მოხურულია, ეფინება მთელს შინაობას, ამჭვარტლებს კედლებს, ჭერს და ადამიანს სტკენს თვალებს და სხ. ქვის დროს (აპრილის 15—20 ამდე) მთელი ოჯახი გარეთ იძინებს, ქიას-კი სახლს უთმობს. ტახტები აქ არ იციან, არამედ იშვიათად არის ხის კრაოტები, რომელსაც აქ, როგორათაც აჭარაში, ლოგინს უწოდებენ. ხოლო ლოგინის პატრონიც ლოგინზე მარტო ზაფხულში იძინებს, ზამთარში-კი წვება მიწაზედ, რომელზედაც ჯერ ნამჯის ნეჭებსა შლიან და მერე ჯეჯიმს. კერას მარჯვენივ ოჯახის უფროსი მამაკაცი იძინებს პატარა ვაჟიშვილებით, ხოლო მარცხნივ—დიასახლისი ქალიშვილებით, სხვები-კი, მეტადრე ცოლიანები, სახლის კუნჭულებში, ბოძებს უკან და თუ ქოხი აქვთ, ხშირად ქოხში.

ეზოები ხშირად ოთხ-კუთხი აქვთ, განიერი და ვრცელი. ეზოებს სუფთად ინახვენ. ზაფხულის დროს რწყვენ. ამის გამო მოლი მწვანედ და საამურად ბიბინებს. ეზოებში ხილის ხეები დარგული. ინგილოს ძრიელ უყვარს, მოცლის დროს, ამ ხეების ჩრდილოში მხარ-თეძოზე წამოწოლა და თავის მეურნეობაზე რჩევა-საუბარი. ეზოები ქვითკირის გალავნით, ან ტყრუშულის ღობითა აქვთ შემოვლებული. ამ გალავან-ღობეს იქით ვენახია, ან ბაღჩა (საჭიე თუთის ხეები) და ბოსტანი. ეზო, ბაღჩა, ვენახი და ბოსტანი მამულად იწოდება. მამულს გარეშემო ეკლის ღობე არტყია, იშვიათად-კი გალავანი. ეზო მაგრდება ან ალაყაფის კარებით, ან ხერხლებით. ქათმებისთვის საქათმეს არ აკეთებენ. ფრთოსანთაგან იციან მარტო ქათმები და ისინიც რომელსამე ხეზე, ეზოს ბოლოში, სხდებიან.

გაყრა. წინად დიდ-დიდი ოჯახები იცოდნენ, ხოლო ბოლო დროს გაყრა გახშირდა, დიდი ოჯახები დაქუცმაცდა, დაწვრილდა. წინად როგორ შეიძლებოდა, რომ შვილი მამის სიცოცხლეშივე გაყრილიყო, მაგრამ ეხლა ამის მაგალითები მრავალია.

გაყრა-განაწილების მსურველი მოიწვევს ხოლმე სოფელში პატიოსნებით წარჩინებულ კაცებს, ერთს, ორს ან სამს. ეს კაცები ყოველივეს გაუყოფენ, რაც იმას ერგება. პური და ღვინო სულზედ იყოფება თუ რომელიმე დედაკაცი ორსულად არის, იმას ორი წილი ერგება. საქონელი, ჭურჭელი, მამული ძმაზედ იყოფება. თუ სახლში ერთ ძმისწილს ქალი შეადგენს, იმას ფულს გაუღებენ, ფულით დააკმაყოფილებენ. უძრავიდამ-კი წილი არ ერგება. აგრეთვე ქვრივსაც ფულს აძლევენ. დასაქორწინებელ ანუ უცოლო ძმას, გარდა წილისა, 200—300 მანათი „საქორწინო“ უნდა გაუღონ. დედ-მამას უძრავიდამ წილს არ გაუღებენ, ისინი რომელსამე შვილთან უნდა დასახლდნენ. დიდი სახლი უმცროსის ძმისაა, სხვა ძმებისათვის-კი საერთოდ უნდა ააშენონ სახლი, ან გაყრის დროს ცალკე ფასი გაუღონ. საწოლი არ იყოფება. ყველა ძმის ცოლის მოტანილი ან გაკეთებული ფართალი (საწოლი) არის საკუთრება იმისი. თუ რომელისამე ძმის ცოლს ჰყავანდა საკუთარი ძროხა ან ფურ-კამეჩი, გასესხებული ფული და სხ. ისიც მისია, არ გაიყოფება. დედ-მამის წილი ჭურჭელი, მათი საწველი, იარაღი და სხ. სიკვდილის დღეს რჩება იმ ძმას, რომელმაც დამარხა იგინი.

—

ინგილოს სოფლები იმერულ სოფლებს წააგავს. აქაც, როგორც იქ, იგივე დიდ-დიდი ეზოებია, მამულები, ხე-ტყე, წყლები, ნამიანი ადგილები და სხ. შორიდგან რომ შეჰხედოთ აქაურ სოფლებს, დიდი ჭალა და ტყე გეგონებათ. ყოველ სოფელს მშვენიერი განიერი და აქეთ-იქით თხრილებ-გაყვანილი გზები აქვს. ყოველ სოფელში წყალი ჩამორბის. ზოგიერთგან წყაროს წყლები არის გამოყვანილი. ზოგიერთი სოფელი 6—7 ვერსის მანძილზედ არის გაჭიმული. ყველგან სიფაქიზე, სიწმინდეა. ვერსად გზაზე ვერა ჰნახავთ უწმინდურებას, ნაგავს და სხ. სოფლის წყლებზედ წისქვილებია დამართული, ან ჩალთუქის სარეცხი წყლის დინგები. წისქვილებში მინდს იღებენ ოცით ერთს, დინგში 14-ით ერთს. დინგისა და წისქვილის დასაბრუნებლად წყლის გაყვანა ყველას შეუძლიან, ხოლო ისე კი, რომ გაყვანილი ისევ წინანდელს კალაპოტში ჩააგდოს.

მინდვრის მიწები დაყოფილი აქვთ, ხოლო ისე-კი, რომ ყოველ მინდორში ყველა მეკომურს თავისი წილი აქვს. ასე იმიტომ დაუყვიათ, რომ დათესვისას ყველასი ითესება, უთესველობისას ყველასი უთესველი რჩება. ჩალთუქების წყალს კომლობაზე თანასწორად ანაწილებენ. ბაღ-ვენახ-ბოსტნის მორწყვა, თუ წყალი ნაკლებად არის, რიგით იციან. დიდ ხევებიდამ წყლის მოსაგდებად მერუეები ჰყავთ, რომელსაც გაჭირების დღეს თითონაც ჰშველიან. ტყეები საერთოც არის და კერძოც. ასე ჰქონიათ მამა-პაპიდამ. ზოგიერთგან დრო-და-დრო სახნავ მიწას ხელ-ახლა იყოფენ, რომ მეტ-ნაკლებობა არ იყოს. ზოგიერთ სოფლებში ყოველ საქმეზე ერთხნობით გადიან, მაგალითად მკა-ლეწვაზე და სხვ. ვიდრე ყველა მეკომურნი მკას არ მორჩებიან, ვერც ერთი ლეწვას ვერ დაიწყებს.

ქრისტიანე ინგილოები სცხოვრობენ სოფ. კაკს, ალიბეგლოს, ყორაღანს, თასმალოს და ბელაქანს. მაჰმადიანნი: ალიაბათს, ვერხიანს, ჰენგიანს, ზაგანს, მარსანს, ტანაჩის, თასმალოს, ყორაღანს და სოსიკანს. ქრისტიანე ინგილოთა რიცხვი არის 3,000-ზე ცოტა მეტი, მაჰმადიანებისა, ოფიციალურ ანგარიშით, 10,000-დე. ქრისტიან სოფელთაგან ყველაზე დიდი არის კაკი, სადაც გარდა 300 კომლ ინგილოსი, კიდევ 200 კომლამდე თათარია. ხოლო ყველაზედ დიდი სოფელი-კი ალიაბათია, სადაც ათას კომლამდე მოსახლეა. ალიაბათს მთელს მაზრაში უდიდესი და უმშვენიერესი მეჩითი აქვს აგებული. ამ სოფლებში ბაზარი და ვაჭრობა არის მხოლოდ კაკსა და ალიაბათს, ხოლო კაკის ბაზარი უფრო დიდია და ვრცელი. აქ მრავალი დუქნებია, სადაც ვაჭრობენ მხოლოდ სომხები და ყიზილბაშნი. აქვე აბრეშუმის სახვევი მანქანაკია გამართული, პარკის სახმობი მანქანა, სასოფლო სასწორი, რომელიც წელიწადში 600 მან. არის გაცემული. აქ ხალხი ასაღებს ხორბლეულს, პარკს, ღვინოს, მატყლს, თხილს, თრიმლს და სხ. ბაზრის გვერდზედვე ოთხშაბათობით იმართება ყოველ კვირეული ბაზრობა. აქ ინგილოებსაც აქვთ თავისი ფარდულები. კაკში ამას გარდა ფოსტა-ტელეგრაფის სადგურია გამართული, კაკის განყოფილების დივანხანაა და ერთ-კლასიანი პირველ-დაწყებითი სკოლა. აქვე სცხოვრობს საინგილოს ბლაღოჩინი. კაკი თითონაც დიდი სოფელია და კიდევ 7—8 ბინაცა აქვს თავის სახლებითა და მამულ-ღელებით. ბინებშიაც მუდამ ხალხია, საცა საქონელს ინახავენ, ქიას აჩენენ და სხვა. წრეულს სასოფლო სკოლა გაიხსნა აგრეთვე ალიბეგლოსა და ყორაღანშიაც მალე გახსნიან.

საინგილოს მიწის ზედა და ქვედა პირი უწინდელის ნაშთებით არის მოცული. ყალაგო-ალაგას, ულრანს ტყეღრეში, შიგ ხევ-ხუევებში, მთის კალთებსა და წვერებზე, სახნავ მიწებში, ორღობეში, აწინდელს ეზოებში, სახლებში და სხვ. ყველგან უწინდელი ნაშთები ჩნდება, ან გამოჩენილია. მაგ. სასაფლაოები, ქვევრები, საყდრები, კოშკები და სხვა და სხვა. მარტო სოფ. კაკში არის შემდეგი ნანგრევნი და წმინდა ადგილნი: სანება (საძება), კასრის საყდარი, ბარბარეს საყდარ, კურუხალ, დიდ-საყდარ, ალავერდის საყდარ, თეთრ საყდარ, ჰანდარა საყდარ და სხვა. ალაზნის პირზედ ძველი ქალაქის, აწ თორფავ ყალად წოდებულის, ნანგრევებია, საცა მრავალს ნივთს ჰპოულობენ. მრავალია კიდევ სხვა ნაშთები, რომელთა აღწერას მოვაქცევთ საინგილოს ისტორიულს განხილვაში.

მოსე ჯანაშვილი

მოუჭირა, რკინის ბორკილებით შებოჭა და ლამის სული ამოართვას ერს. ოდესმე ევროპის მეთაური ქვეყანა სწავლითა, განათლებითა და მეცნიერებით, დღეს სამხედრო ბანაკად არის გადაქცეული და ამ ბანაკიდამ ისმის მხოლოდ თოფ-იარაღის ჩხარა-ჩხური, სჩანს მხოლოდ ყვითლად მობჭყვრიალე კასკები და ზეგთარნი ზეგთაროსანის ჯარისა.

ამისთანა ყოფაში ჩავარდნილი ქვეყანა, ცხადია, რომ მხოლოდ ომზედა იფიქრებს, ომით-და ისულდგმულებს, და გერმანიაც მაინც სულ ომსა ჰხედავს, ცხადლივ თუ სიზმრად. ომმა ან უნდა უშველოს რამე გერმანიას და ან სულ დაჰღუპოს. აი ეხლაც გამოსულა ახალი წიგნი ერთის გერმანელის ავტორისა: „ომი, თუ ამბოხი?“ ავტორი კითხულობს, აუცილებელია თუ არა ომიო და არ შეიძლება მშვიდობით მორიგდნენ ერთმანეთშიო, და პასუხად იძლევა, რომ ევროპიული ომი აუცილებელია და მორიგება შეუძლებელიო. ავტორი სხვათა შორის რუსეთზედაც ლაპარაკობს: რუსეთის აზრია, ნიადაგი დაიმკვიდროს ბოსფორზედაო, ხელში ჩაიგდოს სტამბოლი და პირველობა იქონიოს ევროპაშიო. ამის მიხედვით მთელის ევროპის სურვილი ის უნდა იყოს, რომ ხელი შეუშალოს რუსეთს და ამის მოხერხების ღონისძიება არ მისცესო. თუ ომი ასტყდა, ომს აზრად უნდა ჰქონდეს დასუსტება რუსეთისა, რომელსაც უნდა წაერთვას პოლშა და ბესარაბიაო...

## წვრილი ამბები

ლონდონში აქამდე დარჩენილა ერთი ძველი, წარმართობის დროის ჩვეულება — ახლად ჯვარ-დაწერილებს, ეკკლესიიდგან გამოსულებს, თავზედ გადააყრიან ხოლმე ბრინჯსა, ქოშებს და ბალის ფეხსაცმელებს. ამიტომ ყმაწვილი ქალები თავის ბალში ნაცვამ ფეხსაცმელებს ინახავენ, რომ შემთხვევისათვის გამოიყენონ,ვინიცობაა მეგობარი ქალი გათხოვდათ. ამ თავზედ გადაყრის დროს ხშირად მოახვედრებენ კიდეც ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ რას იზამ, ბრინჯის გადაყრა ჰნიშნავს — „გამრავლდით და ხანგრძლივ იცოცხლეთო“, ხოლო ქოშებისა და ფეხსაცმელისა — „ეხლა იმის მეტი აღარა დაგრჩენიათ-რა, რომ სახლში იყვნეთ ქოშებით და გართობა-მხიარულობას თავი დაანებოთო“. ამ ჩვეულებას ვერ ასცდენიან ჰერცოგი ფეიფი და იმისი მეუღლეც. სტუმრებს ამათთვისაც გადაუყრიათ თავზედ ბრინჯი და ფეხსაცმელი სწორედ იმ დროს, როცა ჯვარ-დაწერილნი ეტლში სხდებოდნენ.

— ჩიკაგოს გაზეთი „Daily Inter-Okean“-ი ამბობს, რომ გამოჩენილს მოგზაურს პარუჩიკს სხვატკას მოუვლია ხრდილოეთ მექსიკის ჯერ გამოუკვლეველი და შეუსწავლელი ადგილები და ერთ გვარი ხალხი უნახავს, რომელიც გამოქვაბულებში და მაღაროებში სცხოვრობსო. ეს ხალხი იმდენად ნადირი და მფრთხალია, რომ ადამიანს არ იკარებს ახლო. დაინახავს თუ არა ვისმე, ან გამოქვაბულში შეიმალება და ან კლდეზედ აცოცდება და აბობღდება საშინელის სიმარჯვით: ფრიალა კლდეს კატასავით ეკიდება და ადის ზედ. გარეგნობით ამ ნადირს ხალხს არა უჭირს-რა: ტანით მაღალნი არიან, გემტნი და კარგის აგებულებისანი, ელ-ფერით უფრო ზანგებსა ჰგვანან, ვიდრე ამერიკელებს. ბ-ნს სხვატკას უთქვამს, რომ ეს ნადირი და გამოქვაბულებში მცხოვრები ხალხი მზის თაყვანის-მცემელთაგანი უნდა იყოსო.

— შვეციის სასამართლოს ამას წინად ერთი საკვირველი საქმე გაურჩევია: სტუდენტს საჩივარი შეუტანია ერთს ექიმზედ, რომ ეს ექიმი მიჰიპნოტიზმებს ჩემის სურვილის წინააღმდეგ და მტანჯავს და მაწამებსო. სასამართლოს ვერავითარი განაჩენი ვერ დაუდგენია, რადგან შეუტყვიათ, რომ ბრალდებულს ექიმს კალლენბერგს სასამართლოში ნაჰიპნოტიზვარი მოწმები ჰყოლია და ამ მოწმებს, ჰიპნოტიზმის წყალობით, სტუდენტის წინააღმდეგ ულაპარაკნიათ.

— ორი პარიჟელი ჟურნალისტი, რომელთაც ნიუ-იორკში უცხოვრიათ რამდენიმე თვე, ამას წინად დაბრუნებულან უკანვე თავის ქვეყანაში ჯვარ-დაწერილნი ცოლებითურთ. ამ ჟურნალისტებს გაზეთში ამოუკითხავთ ორის ყმაწვილის ქალის განცხადება, რომ კარგის წრის ქალნი ორს მართებულს კაცს ეძებენ ბალში წასასვლელადაო, თავისი სადარბაზო ბარათები გაუგზავნიათ ქალებთან და გასცნობიან კიდეც. ბალში ამ ყმაწვილ-კაცებსა და ქალებს დიდ-ძალი შამპანური ღვინო დაულევიათ, შემდეგ ქალებს წამოუგლიათ ვაჟებისათვის ხელი და წაუყვანებიათ მღვდლის წინაშე. ჟურნალისტებს ამერიკაში ვერ უთქვამთ ქორწინებაზედ უარი, მაგრამ პარიჟში-კი ამბობენ თურმე, რომ ხუმრობა იყო ეს ქორწილი და სხვა არაფერიო. აი ამ საქმეზედ არის თურმე ატეხილი ამ ჟამად სასამართლოში ერთი ამბავი და ვაიუშველებელი.

## დეპეშა

21 სექტემბერი

პეტერბურგი. 31-ს ოქტომბრისას, სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტი, წარმომადგენლების თანადასწრებით, გაარჩევს საქმეს კავკავის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ვიტკოვსკისას, რომელსაც ბრალდება სხვა-და-სხვა დანაშაულობის ჩადენა სამსახურში.

ბელგრადი. რეგენტებს და მინისტრებს იმედი ჰქონდათ, რომ დედოფალი ნატალია, რაკი ადგილობრივ გაიგებდა ვითარებას და დარწმუნდებოდა, რომ რადიკალებიცა და ლიბერალებიც იმისი მოკეთენი არიან, შეიწყნარებს იმ პირობას, რა პირობითაც შვილი უნდა ინახულოს ხოლმე. ეს იმედი ტყუილი გამოდგა ამიტომ მართებლობამ გარდასწყვიტა სკუპშჩინის კრებას მიულოცოს. იმედი აქვთ, რომ სკუპშჩინის გადაწყვეტილება არ დაარღვევს არც დედოფლის უფლებას და სერბიის ინტერესებს.

დედოფალმა ინახულა მიტროპოლიტი მიხეილი და კრუიჩი.

ვენა. ბელგრადიდგან მოსულს ამბებისა აქ დიდი შიში აქვთ, ჰფიქრობენ, ვითომ მოსალოდნელი იყოს უწესოება ნატალიას სასარგებლოდ.

### ვამოსადევი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტემბრამდე

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ » |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2 | 4 „ |
| „ „ 3 | 3½ |
| ჯვარის მამის პურის ფქვაში | „ |
| 1-ლის ხარისხის | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 „ |
| მე-3 — | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 „ |
| ღორის ხორცი | „ „ |
| „ 2 „ | „ „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საღამოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ულოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიაში
ახალი ქართული წიგნი:

### ქართული თეატრი
(1879—1889)
ვალერიან გუნიასი.

შინაარსი:

I. სახსოვრად ქართულის სამუდამო სცენის ათის წლის თავისა. II. წინასიტყვაობის მაგივრად. III. ქართულის თეატრის დასაწყისი და იმისი თავ-გადასავალი. IV. ქართული სამუდამო სცენა (1879—1889). V. რა ეჭირვება ქართულს თეატრს. VI. ქართული დრამატურგები. VII. ქართული არტისტები. VIII. დრამატული ხელოვნება. IX. სასცენო ხელოვნება. X. თეატრის მნიშვნელობა.

ფასი 40 კაპ.

(10—1)

---

იძლევა ქირით

სარდაფი ღვინისა

ევანგულოვის სახლში, 1 პოლიციის განყოფილებაში, წყლის დიდის საზიდის ქუჩისა და საპიონის ქუჩის კუთხეში, ახალ თეატრს ახლოს.

(3—3)

---

„წერა კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | |
|---|---|
| ცდა, კრებული, გამ. ალ. გარსევანაშვილის მიერ. | „ 50 |
| ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), შეთხზული და გამოცემული თ. ქორდანიასაგან . . . . . . | „ 55 |

---

ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ
въ образцахъ,
пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ

---

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების
### წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | |
|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ მაწ კაპ. ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . | „ 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . | „ 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ 80 |
| სურამის ციხე . . . | „ 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . | „ 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ 50 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. დამბაშიძისა. . . . . . | „ 25 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ 40 |

---


კერძო ექიმ
### პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზავის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ურუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩებ ს შე ახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (14—3)

---

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი — 30 მანათს. მიხეილის ქუჩაზე, კუკიაში, სახლი № 108 (50—47)


---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველი საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში.

Доз. ценз. Тифлисъ 21-го Сентября, 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Тиографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე